



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო  
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ბრძანება N 387

ქ. თბილისი

05/12/2017

მსოფლიო ბანკის, ევროპის საინვესტიციო ბანკის, აზიის განვითარების ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, არაბთა ეკონომიკური განვითარების ქუვეითის ფონდის, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსა და საქართველოს ბიუჯეტით დაფინანსებული საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის, მშენებლობის, რეაბილიტაციის და სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით განსახორციელებელი პროექტების მიმდინარეობისას, განსახლებისა და გარემოს დაცვის პროცედურებთან დაკავშირებით წარმოშობილი პრობლემური საკითხების შესწავლის და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობისთვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენის მიზნით მუდმივმოქმედი კომისიის შექმნისა და კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2017 წლის 13 იანვრის №1/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ და „კ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ნ ა ნ ბ ე :**

1. მსოფლიო ბანკის, ევროპის საინვესტიციო ბანკის, აზიის განვითარების ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, არაბთა ეკონომიკური განვითარების ქუვეითის ფონდის, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსა და საქართველოს ბიუჯეტით დაფინანსებული საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის, მშენებლობის, რეაბილიტაციის და სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით განსახორციელებელი პროექტების მიმდინარეობისას, განსახლებისა და გარემოს დაცვის პროცედურებთან დაკავშირებით წარმოშობილი პრობლემური საკითხების შესწავლის და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში-დეპარტამენტი) ხელმძღვანელობისთვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენის მიზნით, შეიქმნას მუდმივმოქმედი კომისია (შემდგომში-კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

- ა) გიორგი სეთურიძე - კომისიის თავმჯდომარე, დეპარტამენტის თავმჯდომარე;
- ბ) ალექსანდრე თევდორაძე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე;
- გ) პაატა აბუთიძე - კომისიის წევრი, დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე;
- დ) ნუგზარ გასვიანი - კომისიის წევრი, დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე - ტექნიკური მდივანი;

ე) **სალომე წურწუშია** - კომისიის წევრი, დეპარტამენტის იურიდიული სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი);

ვ) **ფიქრია კვერნაძე** - კომისიის წევრი, დეპარტამენტის იურიდიული სამსახურის უფროსის მოადგილე (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე);

ზ) **ავთანდილ გვაზავა** - კომისიის წევრი, დეპარტამენტის სარეაბილიტაციო პროექტების მართვის სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი);

თ) **დავით კალაძე** - კომისიის წევრი, დეპარტამენტის საავტომობილო გზების საინჟინრო - ტექნიკური სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი);

ი) **დავით საჯაია** - კომისიის წევრი, დეპარტამენტის ფინანსების მართვის სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი);

კ) **ნოდარ აღნიაშვილი** - კომისიის წევრი, დეპარტამენტის მშენებლობის, მოდერნიზაციისა და რეკონსტრუქციის პროექტების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე);

ლ) **გიორგი ერგაია** - კომისიის წევრი, დეპარტამენტის მშენებლობის, მოდერნიზაციისა და რეკონსტრუქციის პროექტების მართვის სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი);

მ) **მიხეილ უჯმაჯურიძე** - კომისიის წევრი, დეპარტამენტის განსახლების სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი);

ნ) **გია სოფაძე** - კომისიის წევრი, გარემოს დაცვის სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი).

ო) **ნინო მცურავიშვილი** - კომისიის წევრი, დეპარტამენტის განსახლების სამსახურის უფროსის მოადგილე (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე);

პ) **ლევან კუპატაშვილი** - კომისიის წევრი, დეპარტამენტის ტექნიკური სამდივნოს დირექციის დირექტორი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი).“.

2. კომისიის საქმიანობის ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის, კომისიის ეფექტური მუშაობისათვის და დაკისრებულ მოვალეობის შესრულებაში ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნას კომისიის სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:

ა) **ლელა ხატიაშვილი** - დეპარტამენტის იურიდიული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სასამართლოებთან ურთიერთობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი);

ბ) **ნატალია ბექაური** - დეპარტამენტის განსახლების სამსახურის პროექტის მენეჯერი (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი).

3. საჭიროების შემთხვევაში, ეთხოვოს სსიპ - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის დირექტორს, **გიორგი ცაგარელს** კომისიის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება, კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების გარეშე.

4. ეთხოვოს მსოფლიო ბანკის სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტს **მარიამ ბეგიაშვილს** კომისიის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება კომისიის წევრის სტატუსით.

5. ეთხოვოს სსიპ - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის აზიის განვითარების ბანკის პროექტების კოორდინატორს (აზიის განვითარების ბანკის კურატორის სტატუსით) - **არჩილ ჯორბენაძეს** კომისიის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება, კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების გარეშე.

6. დამტკიცდეს თანდართული მსოფლიო ბანკის, ევროპის საინვესტიციო ბანკის, აზიის განვითარების ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, არაბთა ეკონომიკური განვითარების ქუვეითის ფონდის, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსა და საქართველოს ბიუჯეტით დაფინანსებული საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის, მშენებლობის, რეაბილიტაციის და სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით განსახორციელებელი პროექტების მიმდინარეობისას, განსახლებისა და გარემოს დაცვის პროცედურებთან დაკავშირებით წარმოშობილი პრობლემური საკითხების შესწავლის და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

ხელმძღვანელობისთვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენის მიზნით შექმნილი მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობის წესი.

7. საჭიროების შემთხვევაში, ამ ბრძანებით შექმნილი კომისიის თავმჯდომარის ან კომისიის თავმჯდომარის მოადგილის რეკომენდაციით და დეპარტამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, შეიძლება მოწვეულ იქნენ ექსპერტები, განსახლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ან/და სხვა პირები, რომლებიც არ შედიან კომისიის შემადგენლობაში, კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების გარეშე.

8. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მსოფლიო ბანკის, ევროპის საინვესტიციო ბანკის, აზიის განვითარების ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, არაბთა ეკონომიკური განვითარების ქუვეითის ფონდის, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსა და საქართველოს ბიუჯეტით დაფინანსებული საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის, მშენებლობის, რეაბილიტაციის და სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით განსახორციელებელი პროექტების მიმდინარეობისას, განსახლებისა და გარემოს დაცვის პროცედურებთან დაკავშირებით წარმოშობილი პრობლემური საკითხების შესწავლის და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობისთვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენის მიზნით მუდმივმოქმედი კომისიის შექმნისა და კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ დეპარტამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 13 სექტემბრის №299 ბრძანება.

9. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

10. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გიორგი სეთურიძე

დეპარტამენტის თავმჯდომარე



მსოფლიო ბანკის, ევროპის საინვესტიციო ბანკის, აზიის განვითარების ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, არაბთა ეკონომიკური განვითარების ქუვეითის ფონდის, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსა და საქართველოს ბიუჯეტით დაფინანსებული საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის, მშენებლობის, რეაბილიტაციის და სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით განსახორციელებელი პროექტების მიმდინარეობისას, განსახლებისა და გარემოს დაცვის პროცედურებთან დაკავშირებით წარმოშობილი პრობლემური საკითხების შესწავლის და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობისთვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენის მიზნით შექმნილი მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობის წესი

### **მუხლი 1. ზოგადი ნაწილი**

მსოფლიო ბანკის, ევროპის საინვესტიციო ბანკის, აზიის განვითარების ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, არაბთა ეკონომიკური განვითარების ქუვეითის ფონდის, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსა და საქართველოს ბიუჯეტით დაფინანსებული მსოფლიო ბანკის, ევროპის საინვესტიციო ბანკის, აზიის განვითარების ბანკის, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსა და საქართველოს ბიუჯეტით დაფინანსებული საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის, მშენებლობის, რეაბილიტაციის და სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით განსახორციელებელი პროექტების მიმდინარეობისას, განსახლებისა და გარემოს დაცვის პროცედურებთან დაკავშირებით წარმოშობილი პრობლემური საკითხების შესწავლის და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) ხელმძღვანელობისთვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენის მიზნით მუდმივმოქმედი კომისიის (შემდგომში - კომისია) საქმიანობის წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს კომისიის შექმნის მიზნებს, ამოცანებს, უფლებამოსილებას, სტრუქტურას, საქმიანობის წესს და პირობებს.

### **მუხლი 2. კომისიის შექმნის მიზანი**

1. კომისია იქმნება მსოფლიო ბანკის, ევროპის საინვესტიციო ბანკის, აზიის განვითარების ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, არაბთა ეკონომიკური განვითარების ქუვეითის ფონდის, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსა და საქართველოს ბიუჯეტით დაფინანსებული საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის, მშენებლობის, რეაბილიტაციის და სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით განსახორციელებელი პროექტების მიმდინარეობისას, განსახლებისა და გარემოს დაცვის პროცედურებთან დაკავშირებით წარმოშობილი პრობლემური

საკითხების შესწავლის და დეპარტამენტის ხელმძღვანელობისთვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენის მიზნით.

2. კომისია თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ წესით.

3. კომისიის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის ფორმა განისაზღვრება ამ წესით.

### **მუხლი 3. კომისიის ძირითადი ამოცანები**

კომისიის ძირითადი ამოცანებია:

ა) მსოფლიო ბანკის, ევროპის საინვესტიციო ბანკის, აზიის განვითარების ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, არაბთა ეკონომიკური განვითარების ქუვეითის ფონდის, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსა და საქართველოს ბიუჯეტით დაფინანსებული საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის, მშენებლობის, რეაბილიტაციის და სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით განსახორციელებელი პროექტების მიმდინარეობისას, განსახლებისა და გარემოს დაცვის პროცედურებთან დაკავშირებით წარმოშობილი პრობლემური საკითხების შესწავლა;

ბ) მსოფლიო ბანკის, ევროპის საინვესტიციო ბანკის, აზიის განვითარების ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, არაბთა ეკონომიკური განვითარების ქუვეითის ფონდის, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსა და საქართველოს ბიუჯეტით დაფინანსებული საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის, მშენებლობის, რეაბილიტაციის და სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით განსახორციელებელი პროექტების მიმდინარეობისას, განსახლებისა და გარემოს დაცვის პროცედურებთან დაკავშირებით წარმოშობილი პრობლემური საკითხებთან დაკავშირებით სათანადო გადაწყვეტილებების მიღებისათვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობისთვის რეკომენდაციის წარდგენა.

### **მუხლი 4. კომისიის უფლებამოსილება**

კომისია უფლებამოსილია:

ა) კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გამოითხოვოს და მიიღოს კომისიის საქმიანობისთვის საჭირო დოკუმენტები, ნახაზები, ცნობები და სხვა მონაცემები;

ბ) მისცეს დავალებები დეპარტამენტის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, მოამზადონ მასალები, შეადგინონ დასკვნები და სხვა საჭირო დოკუმენტაცია, რომლებიც დაკავშირებულია კომისიის მიერ განსახილველ საკითხებთან;

გ) საჭიროების შემთხვევაში შექმნას სამუშაო ჯგუფებ(ებ)ი და განსაზღვროს მათი შემადგენლობა, მოიწვიოს ექსპერტები და სხვა პირები სათანადო რეკომენდაციების მიღების მიზნით;

დ) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოითხოვოს დაზუსტება ან დამატებითი დოკუმენტაცია;

ე) განახორციელოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ წესით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

## **მუხლი 5. კომისიის სტრუქტურა**

1. კომისიის თავმჯდომარე:
  - ა) წარმართავს კომისიის სხდომებს;
  - ბ) კომისიას წარუდგენს წარმოდგენილ საკითხებს და შესაბამის დოკუმენტაციას;
  - გ) კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას რეკომენდაციის სახით წარუდგენს დეპარტამენტის ხელმძღვანელობას;
  - დ) ასრულებს ამ წესით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებას.
2. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებას, კომისიის თავმჯდომარის კომისიის სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში.
3. კომისიის წევრ(ებ)ი:
  - ა) მონაწილეობას იღებს კომისიის სხდომებში;
  - ბ) განიხილავს წარმოდგენილ საკითხებს და შესაბამის დოკუმენტაციას ამ წესის შესაბამისად.
  - გ) ასრულებს ამ წესით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებას.
4. კომისიის სამდივნო უზრუნველყოფს:
  - ა) კომისიის საქმიანობის შესაბამისად, კომისიის სხდომაზე განსახილველად წარდგენილი საკითხების სისტემატიზაციას და სათანადო რეესტრის წარმოებას;
  - ბ) კომისიის სხდომის ოქმის წარმოებას;
  - გ) წამოჭრილ საკითხებზე კონსულტაციების გაწევას;
  - დ) კომისიის სხდომის წარმოებისათვის სრულყოფილი დოკუმენტაციის შეგროვებას კომისიის სხდომაზე წარსადგენად;
  - ე) კომისიის სხდომების ორგანიზებას;
  - ვ) კომისიის დავალებების შესრულებასა და სხვა პროცედურული საკითხების განხორციელებას.
5. კომისიის მუშაობაში, კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების გარეშე, საჭიროების შესაბამისად მონაწილეობას იღებენ მოწვეული პირ(ებ)ი, რომლებიც არ შედიან კომისიის შემადგენლობაში.

## **მუხლი 6. კომისიის საქმიანობის წესი და პირობები**

1. კომისია საქმიანობას ახორციელებს სხდომების მეშვეობით, რომელიც იმართება საჭიროების შესაბამისად.
2. კომისიის სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
3. კომისია გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
4. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე/ მოადგილე/წევრები და კომისიის სხდომის მდივანი. ოქმში უნდა აისახოს კომისიის შემადგენლობის ნებისმიერი წევრის მიერ კენჭისყრაში მონაწილეობაზე თავშეკავების, უარის თქმის მიზეზი ან სხდომაზე გამოთქმული ნებისმიერი განსხვავებული აზრი. კომისიის სხდომაზე მონაწილე კომისიის შემადგენლობის ყველა წევრი ვალდებულია, ხელი მოაწეროს კომისიის სხდომის ოქმს. კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული პირ(ებ)ი არ იღებენ მონაწილეობას კენჭისყრაში და კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერენ მხოლოდ მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებების დადასტურების მიზნით.

5. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის სხდომის ოქმის სახით, რომელსაც თან ერთვის კომისიის წევრთა კენჭისყრის შედეგები და კომისიის თავმჯდომარის/წევრ(ებ)ის განსხვავებული აზრი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6. კომისიის სამდივნო, კომისიის თავმჯდომარეს წარუდგენს ინფორმაციას/დოკუმენტაციას კომისიის სხდომაზე განსახილველი საკითხების თაობაზე.

7. კომისიის სხდომას ხსნის და დახურულად აცხადებს კომისიის თავმჯდომარე.

8. კომისიის თავმჯდომარე, ან თავმჯდომარის დავალებით კომისიის ერთ–ერთი წევრი კომისიას წარუდგენს დეტალურ ინფორმაციას განსახილველი საკითხის თაობაზე და წარადგენს შესაბამის დოკუმენტაციას.

9. კომისია წარმოდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის საფუძველზე განიხილავს დასმულ საკითხს.

10. კომისიის თავმჯდომარე/კომისიის წევრ(ებ)ი/ვალდებულნი არიან ობიექტური გარემოებების (მათ შორის ინტერესთა კონფლიქტი ან სხვა გარემოება) არსებობისას კომისიის სხდომაზე განსახილველად დააყენოს საკითხი კომისიის თავმჯდომარე/კომისიის წევრ(ებ)ის კომისიის სხდომაზე გადაწყვეტილების მიღებისას ხმის უფლების შეჩერების შესახებ.

11. კომისიის სხდომის ოქმში უნდა მიეთითოს:

ა) კომისიის დასახელება;

ბ) სხდომის ჩატარების თარიღი, დრო და ადგილი;

გ) სხდომის თავმჯდომარის/მოადგილის და წევრების ვინაობა;

დ) განხილვის საგანი;

ე) მოწვეული პირების ვინაობა (მათი არსებობის შემთხვევაში);

ვ) საკითხის განხილვასთან დაკავშირებით სრულყოფილი ინფორმაცია, მათ შორის გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები;

ზ) კენჭისყრის შედეგები;

თ) გადაწყვეტილება და მის შესაბამისად დეპარტამენტის

ხელმძღვანელობისათვის წარსადგენი რეკომენდაცია.

12. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში, კომისიის თავმჯდომარე კომისიის გადაწყვეტილებას და შესაბამის რეკომენდაციას წარუდგენს დეპარტამენტის ხელმძღვანელობას.

13. კომისიის სხდომის მასალები ინახება კომისიის სამდივნოში.